№ 118

ხუთშაბათი, 8 ივნისი 1895

1877—1895

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 70 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 55 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

№ 118

ხუთშაბათი, 8 ივნისი 1895

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## «ივერიის» რედაქციისაგან:

ვისაც სურს, რომ პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

ისყიდება

ახალი წიგნი

**ორი პიესა**

იერ. გულისაშვილისა.

1) ცხოვრება ბრძოლაა

2) დრონი მეფობენ.

ფასი ათი შაური.

(5—1).

კვირას, 11 ივნისს, დილის 11 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში მოხდება **კრება ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა** შემდეგ საგნების განსახილველად:

1) წარსულის წლის ანგარიში;

2) მომავალ-სეზონის სავარაუდო ანგარიში;

3) გამგეობის წევრთა ამორჩევა

და 4) საზოგადოების წევრთა ამორჩევა.

იმ არწრუნისეულ მამულზედ, რომელიც უნდა დამტკიცდეს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის სახელობაზედ, თერთმეტს ივნისს, ათ საათზედ დილით, შესდგება საგანგებო ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება.—

ამისა გამო, ტფილისის გუბერნიის კეთილშობილთა წინამძღოლი აუწყებს თავად-აზნაურობას გუბერნიისასა და სთხოვს ხსენებულს კრებაზედ დაესწრნენ, რომელიც შესდგება თავისს საკუთარს სახლში, ლორის-მელიქიშვილის ქუჩაზედ.

(3—6—3).

პატივ-ცემულ საზოგადოების საცნობლად უმორჩილესად ვაცხადებ, რომ 10 ივნისიდგან დაიწყება ნოქალაქევის სამკურნალო წყლებზედ მიმოსვლა (ქუთაისის გუბერნიის, სენაკის მაზრისა). სადგომები ორ-ნაწილად უკეთ შეკეთებულია შარშანდელზედ; სასმელ-საჭმელი და მოსამსახურე ძლიერ იაფად იშოვება, და თუ საჭიროება მოითხოვს, ექიმის მოყვანაც ადვილად შეიძლება ახალ-სენაკიდგან.

პატივ-ცემულთ სტუმართ შეუძლიანთ დ. ახალ-სენაკის რკინის გზის სადგურით მობრძანდნენ,

ნოქალაქევის მადნის წყლების მოიჯარადრე ლ. მ. ქავთარაძე.

(4—1385—3).

## ახალი ამბავი

—

*** დღეს, 8 ივნისს, წმიდა ნინოს დედათა-სასწავლებელში ეგზამენები თავდება. ნაშუადღევის ოთხს საათზედ მთავარ მართებლის სასახლეში დანიშნულია აქტი, რომელზედაც კურსდამთავრებულ მოსწავლეებს ატტესტატები დაურიგდებათ.

*** პროფესორ-მკურნალი ლეიდენი და ნოტნაგელი ექვს ამ თვეს დილით ერევნიდგან ტფილისში ჩამოვიდნენ და დაათვალიერეს ტფილისის შესანიშნავი ადგილები. მეორე დღეს, დილა ადრიან, გაემგზავრნენ კავკასიის ხამხედრო გზით. პროფესორები გაივლიან ნოვოროსიისკზედ და ოდესაზედ. აქედგან ისინი საზღვარ გარეთ წავლენ.

*** ვლადიკავკავის რკინის გზის ხარჯით გაიგზავნა ცნობილი გეოლოგი პროფ. მუშკეტოვი, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს გეოლოგიურად გზა ნევინომისკიდგან სუხუმამდე მდინარე ყუბანისა და თებარდის ნაპირებზედ, შემდეგ კავკასიონის უღელტეხილზედ და ბოლოს კოდორის ხეობაზედ. ამ ადგილებში, როგორც ვიცით, განზრახულია რკინის გზის გაყვანა. უმთავრესს კავკასიონის უღელტეხილს რკინის გზა გაივლის გვირაბით, ჩვა ვერსის მანძილზედ.

*** გ. „ნოვოე ობოზრენიეს“ შეუტყვია, რომ ამიერ კავკასიაში ყვავილის აცრა აუცილებელ მოვალეობად იქნება შემოღებული. ხარჯი ამ საქმისთვის სოფლის საზოგოგადოებას დაეკისრება. ეს პროექტი მთავარმართებელს წარედგინება განსახილველად.

*** სოფ. ლანჩხუთიდგან გვატყობინებენ, რომ კიდევ გაჩნდა ყელჭირვება და ბევრი ყმაწვილი იმსხვერპლაო. ამას გარდა გვეწვია ვიღაც ბერძნები, რომლებმაც აბრეშუმის პარკის ფასი ძალიან დასცეს და ხალხს აწუხე ბენო. თუ მალე არავინ მოეშველა ბთელი მუშაობა ტყუილ-უბრალოდ ჩაუვლის ჩვენს ხალხსაო.

*** ვ. ლ. ფორკატიმ ამ ბოლო დროს ერთი კარგი საქმე დაიწყო. ეს კარგი საქმე საბავშვო დღესასწაულია. კვირაში ორჯელ გაიმართება ყოველთვის ხუთშაბათობითა და შაბათობით და დიდს სარგებლობას მოუტანს ამ ზაფხულს იმ ბავშვებს, რომლებიც ქალაქში რჩებიან და აგარაკად გასვლას ვერ ეღირსებიან. საზაფხულო თეატრის ბაღში გამართულია სხვა-და-სხვა საბავშვო სათამაშოები: გიმნასტიკა, ბურთი, კეგლი, ველოსიპედები და სხვა მრავალი. ამას გარდა იმართება საბავშვო წარმოდგენები და ამ ჟამად ფორკატი ამზადებს ორს ფეერიას: სკრიბისას — „დათვი და ფაშა“ და „ბაღდადის მეკუპატეები“. თეატრის ბაღი ღიაა დილის 10 საათიდგან საღამოს 7 საათამდე და ვინც 10 კაპეიკს გარდაიხდის, ყველას შეუძლიან შესვლა. რომ ღარიბთა შვილებსაც შეეძლოთ სიარული, ფასები ძალიან დაკლებულია; ლოჟა 3 მანეთი ღირს, სავარძლები მანეთიდგან 40 კაპ. ვისაც ბავშვი მთელს ზაფხულს ჰსურს ატაროს პირველ სექტემბრამდე, 3 თვეში 3 მანეთი უნდა გარდაიხადოს ყოველ ბავშვზედ. კარგი იქნება, რომ ხან-და-ხან ქართული საბავშვო წარმოდგენებიც გაიმართოს ხოლმე და ამითი უფრო გაუკეთესდეს ის კარგი საქმე, რომელიც ბ-ნს ფორკატის მოსვლია ისეთ ბედნიერ აზრად. ვისურვებთ, რომ მშობლებს მართლა ხელი წარემართოთ და ბავშვები ეგზავნოთ ამ ბაღში გასართობად.

*** თელავიდგან გვატყობინებენ, რომ ორს თიბათვეს დაისეტყვა კისისხევი და ნაწილი წინანდალისა. კისისხევის ზევით ვენახები ისე გაფუჭებულია, რომ სამერმისოდაც აღარ აქვთ იმედი მათის გამობრუნებისა. აქვე, ვენახებთან ერთად, დაისეტყვა ყანები. ზარალი ბევრს მიეცა.

*** ქვემო-რაჭა: სიმინდის ფასმა მეტად აიწია და ხალხი დიდს გაჭირვებაშია. ჩვენმა მედუქნეებმაც ყველაფერს მამასისხლად დაუწყეს გაყიდვა. ფუთს მარილს მანეთად ჰყიდიან და ნავთს სამ მანეთად.

*** დ. ახალ-სენაკი: სწორედ ცუდი გაზაფხული დაგვიდგა. ხან სულ გადაქანებული წვიმაა, ხან სულ სიცხეებია; ერთი სიტყვით, აქაური ამინდები არაფერს არ ჰგავს. დილიდგან რომ შუადღემდე კარგი ამინდი იყოს, ისიც დიდია, თორემ ისე სულ არეული დღეებია. ხან წვიმს, ხან მოღრუბლულია, ხან მზეა, ასე რომ მარტს ჰგავს ეხლანდელი ზაფხული. აქაურს გლეხებს ჯერ მიწები ამინდების მიზეზით სანახევროდ დაუთესელი აქვთ.

ოთხს ამ თვეს ერ თიგულ-შემაზარი და შეუძრუწუნებელი საქმე მოხდა: აქაურმა პოლიცის მოხელემ (დესიატნიკმა) ერთი სოფლის გლეხი სასიკვდილოდ დასჭრა, რომელსაც ხმლით ჭრილობა ხუ თალღგას აქვს. დაჭრილის მორჩენა-კი საეჭვო არის.

*** იქიდგანვე: ჩვენმა სცენის მოყვარე მსახიობებმა ერთხელ გამართეს წარმოდგენა „ხანუმა“ და შემდეგ-კი ქვა-გუნდა მოგვაყარეს!...ნეტავი ვიცოდეთ რისთვის? თუ ამბობენ, წარსულს წარმოდგენაზედ არაფერი შემოვიდაო, ეგ ტყუილი იქნბა,—თუმცაღა იმ წარმოდგენაზედ ბილეთებიკი ძვირი იყო, მაგრამ მაინც ყველანი დიდის სიამოვნებით მიეგებნენ.

## დამაკვირდი

—

უმადურობა მხოლოდ მაშინ არის საწყენი, როდესაც ქველ-მოქმედებას დახარჯულ კაპიტალად სთვლის ქველ-მოქმედი.

* *

ზარმაცი ერთის საათის მუშაობით მეტსა სწვალობს, ვიდრე მშრომელი მთელის დღის შრომით.

**

კაცს უყვარს ქალი იმიტომ, რომ იჭვიანია,—ქალი-კი იმიტომ არის იჭვიანი, რომ უყვარს კაცი.

## კორესპონდენცია.

—

**ჟსნის-ხეობა**, 3 ივნისი. წრევანდელ გაზაფხულის ახირებულს წვიმებს ვერაფერი შედეგი მოსდევს, მომეტებულ ნაწილს ჭირნახულისას მეტი ავდრების გამო მოყვითანო ფერი დაჰკრავს, შიგა-და შიგ ავდრისა-

## ფელეტონი

—

### თინას ნატვრა.

ჟღეროდა ფორტოპიანო,
ზედ დასძახოდა თინაო:
პოეტო, ქვეყნის მალამო,
როცა მარტო ვარ შინაო,
სულ შენზედ ვფიქრობ ქალწული
და ვმღერი საკრავს წინაო:
ღვთისგანამც იყოს ნაკურთხი,
ვინც რომ შენ გაგაჩინაო,
დალოცოს ქრისტემ ის ძუძუ,
რომელმაც დაგარჩინაო,
მას ადიდებდნენ ყოველნი,
ვინც აკვანს ჩაგაწვინაო,
ჩაგბერა სიტყვით გმირობა
და ქვით ცას მიგაწვდინაო!
შენმა ზღვა გრძნობა-ფიქრებმა
ზეცისკენ ამაფრინაო,
ამივსო გული გრძნობებით,
გონება გამიბრწყინაო,
ცხოვრების სიტკბო-სიმწარე,
ძლიერად მაგრძნობინაო,
ხან გულ-მდუღარედ მატირა,
ხან ტკბილად გამაცინაო.
მაგ შენმა ცეცხლის თვალებმა
გულს ცეცხლი გამიჩინაო,
დამწვა, დამდაგა ტრფიალმა,
ცრემლები მაღვრევინაო;
ვნატრობ, შენს ახლო მამყოფა,
შენთანაც მომცა ბინაო,
ვერ გავძღე შენის ალერსით,
მატირა, მაქვითინაო,
სურვილით დამწვარს ავადმყოფს
შენს მკლავზე დამაძინაო,
მბრალობდე, ნაზად მკოცნიდე,
ამბობდე: მორჩი თინაო,
მეუღლევ, ჩემო გვირგვინო,
თვალ-მარგალიტის მინაო!
ბროლ-ლალო და ვარდ-გიშერო,
ოქროსავითა ჰბზინაო,
სიცოცხლევ ჩემო გულისავ,
სთქვი: ვინ რა გაწყენინაო,
რად ჰკვნესი, შენი ჭირიმე,
ცრემლი რამ დაგადინაო,
ან რად სცასცახებ, ნარნარო,
ნეტა რამ შეგაშინაო,
სამოთხევ ჩემო სულისავ,
მზე-მთვარევ პაწაწინაო!...
ნუ მკლავ, მოცოცხლდი, წამოდექ,
სიცოცხლე მომეწყინაო,
მკერდში დავიცემ დანასა
აქვე შენს ფეხთა წინაო,
თუ შენი ხმა და ალერსი
კიდევ არ შემესმინაო.
თან გაგიჟებით მიკრავდე
გულში წლის-წლობამდინაო,
ნეტარებისგან დამთვრალსა
სული ყელს მომაბჯინაო,
შენ ქვეყნისათვის იცოცხლე,
მე ნუღა მომარჩინაო,
და როცა მოვკვდე, ცრემლები
მე შენი დამადინაო,
ქვითინი შენი გულისა
ზეცაში შემასმინაო,
შენის კალმისგან უკვდავი
მე ძეგლიც დამიდგინაო,
მიგონებდე და სტიროდე
სულის ამოსვლამდინაო!...

დ. მაჩხანელი.

### მამის ცრემლი.

(პატარა ამბავი).

(დასასრული *).

დავითიდგან წამოსული პეტრე გაემგზავრა სასტუმროსაკენ, სადაც მეგობრები ელოდებოდნენ ბანქოს სათამაშოდ.

მეგობრებმა პეტრეს არა ჩვეულებრივი სიმხიარულე შეატყეს, ჰკითხეს კიდეც მიზეზი, მაგრამ პეტრემ ნამდვილი მიზეზი დაუმალა იმათ.

შუა ღამე კარგა გადასული იყო, პეტრე რომ სახლში დაბრუნდა. თუმცა ქაღალდში ოც-და-ათი თუმანი წააგო, მაგრამ პეტრემ ეს გარემოება დღეს აინუნშიაც არ ჩააგდო. დავითის ნახვამ პეტრე დაარწმუნა, რომ ნუცა იმას არ ასცდებოდა და ნუცას შეძლებასთან ოც-და-ათი თუმანი რა სათქმელი იყო... ამიტომ პეტრემ გაბედვით და ამაყად უთხრა ფულის მომგებს, რომ წაგებულს ფულს ამ ერთ კვირაში დაგიბრუნებ, თუ მანამდის ვერ გამოგიქვითეო.

მეორე დღეს პეტრეს ჩვეულებრივზედ უფრო ადრე გაეღვიძა, მაგრამ განა-კი ეძინა პეტრეს? მთელი ღამე ნუცას ფიქრში და უფრო-კი ნუცას მამის შეძლების რაოდენობის ანგარიშ-გამორკვევაში იყო.

ნუცა რომ იმისი იქნებოდა, ეს გადაწყვეტილი იყო პეტრესათვის. ეხლა პეტრე ნუცასთან მომავალ ცხოვრების გეგმის შემუშავებაში იყო.

ოჯახის მოწყობა რა საფიქრებელი იყო, როცა უკვე მოწყობილს ოჯახში შედიოდა. არა, პეტრეს ის აღონებდა, თუ როგორ დაეჭირა თავი, რომ სავსებით ესარგებლნა დავითის ფულებით...

პეტრე პეტრეს ძე უხოვი ეკუთვნოდა ერთს იმ დროთა გარემოების მეოხებით გადმონერგილს ოჯახს, რომელთა ბურჯიც ორგვარ სისხლ-

*) იხ. „ივერია“, № 117.

გან ჩაჩეხილია ქერები და აოდვაც ეტყობა. იჭვის თვალით შევცქერით წრევანდელ მოსავლის იღბალს. კვლავ ამ დროს გაჩაღებული მკა ყოფილა ქერებისა და წელს-კი, კაი ბიჭობა იქნება, მკათათვის დასაწყისში გაიჭრას ქერი!

გაზაფხულის ნოტიო და წვიმიანმა დღეებმა გარდა იმისა, რომ დროზედ ქერების გაჭრა შეგვიშალა, ბევრი სხვა-და-სხვა უსიამოვნებაც მოგვაყენა—მაგალ. თივის უხვ მოსავალს თუმცა ვეღირსენით, მაგრამ ნახევარზედ გაგვინახევრდა: ნახევარს მეტი ჩალპა გამოუყენებლად. აქა-იქ მიწის ზვავები დაიძრა, აფუტკნა და აჰყარა თავისს მამა პაპეულ ადგილებიდგან სოფ. ცხინურისში თორმეტი კომლი გლეხი. მეწყერის დაძვრისდროს ერთი იმ კომლთაგანი იმსხვერპლა. ავდრებმა ბევრგან დაბადა აქამდე უარსებო ხევის წყლები, წყაროები, რომლების წყალობითაც გაფუჭდა გზები—შეიკრა ბევრგან მიმოსვლა. აპრილმა და მაისმა სულ წვიმებით გაიარა და თუთიბათვემაც განაგრძო ავდარი—„მშვიდობით ცოლო და შვილო." ჭირნახულზედ სულ ხელს აგვაღებინებს. დაგვრჩა ერთად ერთი სალსარი სულის მოდგმისა; ეს არის ქალაქში შეშის ყიდვა, მით უმეტეს რომ წელს ქსნის ბოქაულის წყალობით ვეღირსენით გზების მშვენივრად შეკეთებას და გაგანიერებას, ასე რომ მკაცრი ზამთარიც-კი არ შეგვიშლის ხელს ვყიდოთ შეშა. უმეტესი მადლობის ღირსი შეიქნება ბ-ნი ბოქაული, თუ ინებებს გზების შეკეთების განგრძობას სოფელ მონასტრამდე. მაშინ თვით მთის ღარიბ ხალხსაც მიეცემა საშუალება მიმოსვლისა დაბლა სოფლებში და როცა გზა გვექნება—ქსნის ხეველები ერთობ უზრუნველ-ყოფილნი ვიქნებით თითქმის ყველა საჭიროებისაგან. გარდა იმისა, რომ გაადვილდება მიმოსვლა—მთის გლეხი იაფად და ჩქარად მიიტანს ოჯახში ოფლით ნაშოვნს პურის ლუკმას—მიეცემა საშუალება მინდვრის სოფლებში შემოდიოდნენ დღიურ მუშაობით და მოჯამაგირეობით ფულის შოვნისათვის.

ქსნის ხეველებს წელს უჭირთ ფული, რადგან წრევანდელი წელი ის ხანაა ჩვენის ცხოვრებისა, რომელიც ჩვენს გლეხებს ჰხსნის ვალდებულების უღელს კისრიდგან და სრული თავისუფლება ენიჭებათ. ჩვენი ხეობის ნადელის კაცებს ძვალ-რბილში გაუჯდათ გორის მაზრის შუამავალ მომრიგებლის (დროებითაა დუშეთის მაზრაში გადმოყვანილი) ძმური და მეგობრული დარიგება ნადელების შესყიდვაზედ. მხოლოდ ამ შუამავალმა აგრძნობინა მათ, რომ თავისუფლება სულის ცხონებაა—ბედნიერება და აუცილებელი საჭიროება ადამიანის შვილისათვის. და უმეტესი ბედნიერება ხვდებათ ჩვენს გლეხებს მხოლოდ მაშინ, როდესაც უვალოდ და უვახშოდ შეიძენენ თავიანთს ნადელებსაო. ამ ბრწყინვალე აზრის შესასრულებლად აუცილებელი საჭიროება არის, რომ მთას კარი გაეხსნას გზის შეკეთებით, თორემ ვერ შევიძლებთ უვალოდ ნადელების შეძენასაო-სთქვეს გლეხებმა:—„როცა გზა იქნება, თითოეული ოჯახი ზამთრობით ბარად ავიღებთ ათ თუმანს და მით გარდავიხდით ვალსაო, თორემ ორმოც-და-ხუთი წლით რომ ვალი დავიწეროთ კისერზედ, ათი თუმანი მარტო სარგებელი გაგვივა სულ უკანასკნელებსაო"

ა. ერისთავი.

—

**დ. ჩოხატაური და დ. ხიდისთავი**, (გურია). დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ერთმა აქაურმა ვითომ და პოეტმა ამგვარად შეამკო დ. ჩოხატაური:

„ჩოხატაურო, ტაურო,
დაბაო, ჩემო დაბაო,
მინდა რომ დაგგავო;
რაფერ დაგგავო?
პირისაგან ქვეყანისა აღგგავო!

ასეთი წყევლა-კრულვა გარდა სოდომ-გომორისა არც ერთს ქალაქს არ განუცდია და უსამართლოდაც მივიღეთ ასეთი „დაგვა" ძალიან მაცხონე პოეტისგან, მაგრამ, მაგარი ის არის, თურმე „კალამ" ღირსი ყოფილა ჩვენი კურთხეული დაბა ასეთი „დაგვის"ა. აი საქმე რაში იყო. ჩოხატაური კარგა მოზრდილი დაბაა. აქვს სასამართლოს განყოფილება, საავადმყოფო (пр. ПОКОЙ), აფთიაქი, ფოსტის განყოფილება, სკოლა და სხვ. მაგრამ მოგეხსენებათ, გარდა სკოლისა და აფთიაქისა სახელმწიფო დაწესებულება, ჩოხატაურს ღვაწლი არ მიუძღვის; სკოლა კიდევ ფარცხმის საზოგადოებისა არის, აფთიაქი კიდევ კერძო კაცისა. რასაკვირველია, ამ დაბას ბლომად ასხია ისეთი ხალხი, რომლებიც თვის ოცში წითლიანებს იწყობენ ჯიბეში. მადლიანი კაცების მეოხებით ჩოხატაურს მიემატა ერთი განათლების სხივი, ერთი ნათელი ფარანი—მე მოგახსენებთ უფასო სამკითხველოს შესახებ, რომლის კურთხევაც იყო მაისის 21-ს. რასაკვირველია სამკითხველო ჯერ-ჯერობით ნივთიერ სიღარიბეშია. კიდეც ეს იყო მიზეზი, რომ სცენის მოყვარეთ ეს დღე შეურჩიეს წარმოდგენას. წარმოადგინეს: „ბაიყუში" დ „ადამ დ ევა" მაგრამ არ იტყვით, ვისთვის ან რისთვის? მე ვწითლდები ჩოხატაურლების მაგიერ, რომ მოვიგონებ. სულ დაესწრო 4 „მღვდელი და 30-მდე „მამრი". შემოვიდა სულ რაღაც 19 მანეთამდე, ისიც ისეთი ადამიანისაგან, რომლებიც ისედაც შემწე, დამხმარებელნი არიან სამკითხველოსი. ეს ამოდენა ვაჭრები, ნუღარც იკითხავთ, იმათგან ხომ არ ყოფილა 7—8 კაცის მეტი და ისიც 30 კაპ. ბილეთებით. სცენისათვის საჭირო ფიცრებიც მათგან სანათხოვრადაც ვერ ვიშოვნეთ. ეხლა შევუდაროთ ერთი კიკნა დაბა ხიდისთავი ამავე საქმეში ჩოხატაურს. აქაც წინა კვირაში იყო იმავე პირებისაგან წარმოდგენილი მარტო „ბაიყუში" ხიდისთავის ახლად ნებადართულ და ჯერ დაუარსებელ სამკითხველოს სასარგებლოდ. ხიდისთავში არც იმის ნახევარი ვაჭრებია, რაც ჩოხატაურში, არც არავითარი დაწესებულება, მაგრამ შემოსავალი ყოველივე ხარჯს გარდა დარჩა 46 მ. 50 კაპ. (ხარჯი იყო 1 მან. 13 კაპ.). მოდი და ჩოხატაურელებს ნუ უძღვნი ვითომ-და პოეტის „ცოცხს", რომელიც იმათ „აღგვის პირისაგან ქვეყანისა". ქება და დიდება ხიდისთავს და მომავალში გაფრთხილება ჩოხატაურს. დასასრულ მადლობის ღირსნი არიან წარმოდგენის გამმართველნი და მათი შემწენი: ქქ. შარაშიძისა და ჰანქათელისა, ბ-ბ. შარაშიძე, დოლიძე, ჰანქათელი, საჭიროებელი დახმარებისათვის ქ. გ. ბერეჟიანისა, კ ნ-ვ. ერისთავისა, ბ-ბ. ბოქაული ჟღენტი, ვლ. ან. და მიხ. კალანდაძენი.

ივნისი 2.

ანწლაძე.

---

## თუშების თქმულებანი მეფე ერეკლე II-ის შესახებ.

საქართველოს არც ერთ მეფეზედ არ დარჩენილა იმდენი თქმულებანი თუშებში, როგორც ერეკლე მეორეზედ.

აღმოსავლეთის გმირი, ერეკლე, ჯერეც ცოცხალია თუშების ხსოვნაში. არა ერთხელ მეჯლისში კახურით აღფრთოვანებული თუშის ოცნება მოიგონებს საყვარელის მეფის სახელს; არა ერთხელ შირაქის მინდვრებზედ ოდნავ მიმქრალ ცეცხლის პირას აღტაცებით უამბობს თვისს ახალგაზდა მოძმეებს მოხუცებული თუში მეფის გმირობას, რომ სამარადისოდ დარჩეს მისი სახელი აღფრთოვანებულ ლამპარად მათს გულში, არა ერთხელ ჩონგურის ჟღარუნს მოჰყვება გამგმირავი ხმა გოდებისა, ძველი დიდების მოგონებისა, რომელსაც თითქოს გულიც ზევით მიჰყვება.

ამას, რასაკვირველია, ისტორიული საფუძველი აქვს. თუშების თქმით ისინი ძლიერ დაახლოვებული ჰყავდა მეფე ერეკლეს. იმათ მეფე დიდის ნდობით და პატივით ექცეოდა, ისინი მათივე თქმით, ომის თუ მშვიდობიანობის დროს მოუცილებლად გარს ერტყნენ მეფე ერეკლეს, როგორც მისი ამალა; ისინი იყვნენ მისი სასახლის მცველებად, სამაგიეროდ მეფესაც არაფერი შურდა თუშებისთვის. ერთ 1781 წ. სიგელში, რომელიც მეფე ერეკლეს უბოძნია თუშებისთვის, ის ამბობს, რომ ნებას აძლევს მათ (თუშებს) ისარგებლონ საძოვარ ადგილებით ყოველ სოფლის ბოლოს, მხოლოდ იმ პირობით, რომ ამას არ მოჰყვეს რაიმე უწესოება.

ომის დროს თუშები შეადგენდნენ მეფის შესამჩნევს ძალას. ისინი თავგანწირულებამდის იყვნენ მეფის მორჩილი. არა ერთხელ სულ შეაწყდებოდნენ მტერს. ამის შესახებ ერთი თქმულება დარჩენილა თუშებში: ერთმა მოხუცებულმა თუშმა, გვარად ბობლიაშვილმა, გაგზავნა მეფე ერეკლესთან თორმეტი თვისი ვაჟი ომში მონაწილეობის მისაღებად. თერთმეტი მათგანი სულ ერთს ბრძოლაში დაიხოცა, გადარჩა მხოლოდ ერთი, ყველაზედ უმცროსი, რომელიც დაბრუნდა სახლში, მაგრამ მამამ რაინდულად უარ-ჰყო მისი სახლში მიღება და უბრძანა უკან დაბრუნებულიყო და თავისავე ძმებისთვის მიებაძა. უშვილოდ დარჩენილი ბობლიაშვილი იმდენად გატაცებული იყო მეფის სიყვარულით, რომ გარდასწყვიტა სიბერეში კიდევ ცოლი მოეყვანა, რომ ერთი გმირი კიდევ დაეტოვებია თავისს მხრით სამშობლოსათვის. მართლაც აღასრულა თავისი წადილი და კიდეც ეშვა ორი ვაჟი. ერთი იმ თორმეტ გმირთაგანი თვით ის ბობლიაშვილი უნდა იყოს, რომელმაც ისახელა თავი ასპინძის ომში: „კორიო ბობლიაშვილი (უნდა იყოს ბობლიაშვილი),-- აქებენ; — რაებს შერებაო?—გამგელებულა ეს თუში, წინ ვერვინ დაუდგებაო". (თხზულება რ. ერისთავისა. ტ. 1 ,,ასპინძის ომი'').

წოვაში*), სოფელ ფილტაში, აქამდის დარჩენილა ერთი სახლის ნანგრევი, სადაც ხალხის თქმულებით მეფემ შეაფარა თავი აღა-მაჰმად ხანის შემოსევისა და ტფილისის განადგურების შემდეგ დევიწყებული თავი დაახლოვებულ პირების მიერ.

ქვემოდ მოყვანილ თქმულებიდგან მკითხველი ნათლად დაინახავს, როგორ სცდილობდა მეფე ერეკლე შეემსუბუქებინა სასჯელი თუშისთვის რაიმე დანაშაულის გამო, თუმცა ის დანაშაული ძლიერ მძიმე ყოფილიყო; ხშირად სრულებითაც ათავისუფლებდა დამნაშავეს, უმეტესად მეფე ერეკლეს თანაგრძნობა და პატივისცემა დაიმსახურეს თუშებმა დაღისტნის მცხოვრებთან ბრძოლაში. არა ერთხელ ლეკები და დიდოები ჩამოეშვებოდნენ თავიანთ მიუსვლელ მთებიდგან და აოხრებდნენ შინაურის ბრძოლით დაუძლურებულს ქართლ-კახეთს, ანადგურებდნენ სოფლებს და აწიოკებდნენ ხალხს. მეფე ერეკლემ ჩამოაგდო თუ არა კეთილი განწყობილება ქართველებს შორის, მიჰყო ხელი მსუნაგ დაღესტნელების დამშვიდებას. ამისათვის საჭირო იყო იმისთანა მხედრობა, რომელსაც უკვე დავლილი და შესწავლილი ექნებოდა დაღისტნის გზა-ბილიკები. მისის ციხეების ხვრელ-შესავლები; შეჩვეული იქნებოდა მისის ხალხის ხასიათთან; ეცოდინებოდა მისი ძალა და მამაცობა. თუშებს ყველა ეს რამდენიმე საუკუნის განმავლობაში განუცხრომელ ომის მეოხებით ზედ-

*) თემი.

---

ხორცისაგან შეზელილა და იმათის ,,არც-აქეთა არც-იქითა'' შტოებით დღეს ჩვენი მიწა-წყალი საკმაოდ მოიფინა. ჯორ-ცხენა, რა ბედაურიც არის, ყველასათვის ცხადია, მერე თუ ორგვარი ზნე-ხასიათის შესაფერი ვარჯიშიც დაბადებისათანავე დაჰყოლია, მაგრამ პეტრე ხომ შესაფერად განათლებული იყო.

არა, პეტრე უგანათლებულესიც იყო! ყველა აწინდელი დროის საჭირო ღირსება უფალს უხვად მიენიჭებინა პეტრესათვის. გარეგანი შეხედულობა მიმზიდველი და საკმაოდ მოხდენილი, საუცხოვო ენა-მახვილობა; ყოველ გვარი ცეკვის უნაკლულოდ ცოდნა, ბანქო, ბახუსის განუსაზღვრელი სიყვარული და ყველა ამასთან უფიქრელი, უდარდელი და ლაღი ცხოვრების თაყვანის-ცემა შეადგენდა პეტრეს ღირსებას. გამორკვეული საქმე პეტრესათვის არ არსებობდა, მაგრამ ცხოვრების სალსარი არას დროს არ აკლდა, ყოველთვის სუფთად იცვამ-იხურავდა. საიდგან და როგორ? ეს პეტრეს გარდა ყველასათვის საიდუმლოებას შეადგენდა. ქუდზედ მიკრული ნიშანი და იმისს ნაცნობთა შორის ნათქვამი სიტყვები ყველას არწმუნებდა, რომ პეტრეს ცხოვრების საშუალება ჰქონდა. მაგალ. როცა ეტყოდნენ ხოლმე, რატომ ხშირად არ შემოხვალ ჩემთანაო.

— სამსახური ნებას არ მაძლევს. მთელი დღე საქმე და საქმე... თავი მაღლა ვერ ამიღიაო, უპასუხებდა პეტრე.

ამიტომაც იმისს ნაცნობებს პეტრე დიდის სამსახურისა და საქმის კაცი ეგონათ. მაგრამ ბანქოსთან ბრძოლა და ღამე უძილობა განა საქმე, სამსახური არ იყო?..

აი, ეს ყმაწვილი შეჰხვდა გამოუცდელს ნუცას, შეჰხვდა და მიიზიდა კიდეც. პეტრე ძლიერ მალე მიუხვდა ნუცას გულის-ძგერას. და რაკი შეიტყო, რომ ნუცა ერთად-ერთი შვილი იყო მდიდრის დავითისა, პეტრე აჩრდილსავით აედევნა ნუცას; სადაც-კი შეჰხვდებოდა ყოველის სიტყვა-მოქმედებით ნუცას გულში შეპარულს ნაპერწკალს აღვივებდა, აძლიერებდა. ნიშანში ამოღებულს მიზანს პეტრემ მალე მიაღწია. ჯერ ისევ დილა იყო, რომ პეტრემ პატარა წერილი მიიღო. წერილით მართა ატყობინებდა, რომ ჩემი ქმარი დავითანხმეო.

—

საღამოს ხანია. დავითის სახლის ზედა სართულის განაპირს ოთახში სანთელი ანთია. ოთახის მარჯვენა კუნჭულში სავარძელში ზის თავ ჩაღუნული დაღონებული, მილად ჩამომდნარი, გაყვითლებული, თვალებჩაცვივნული ქალი, იმის მახლობლად უფრო ხნიერი ადამიანი, პატარა ტახტზეა ჩამომჯდარი და მწუხარებით თვალზედ ცრემლ-მორეული ნელის ხმით ეკითხება:

— მაშ წერილის მეტი არა იცისრა შვილო? ან არა უთქვამს-რა?

— აკი გითხარით დედი!

— რაღა პირით შევხედოთ შვილო მამაშენს. როგორ გავუმჟღავნოთ ჩვენი უბედურება?

— მე ვეტყვი დედი, ჩემი უბედურების მიზეზი მე ვარ და, მევე უნდა ვიტანჯო.

— მერე ჩვენა შვილო! შენის მეტი ვინღა გვაბადია!

— ჰე! დედი ვითამ მოგკვდომივართ... განა შვილი არავის უკვდება?..

— შენ ჯვარი გეწეროს და შენი და ჩემი მკვლელი მოკვდეს. ის ჩვენთვის ისედაც მკვდარია, მხოლოდ... დედა-შვილს კარებთან ფეხის ხმა შემოესმათ და უცებ გაჩუმდნენ.

—

მერე რა მოხდა სულ სამი თვის განმავლობაში ისეთი, რომ სიცოცხლით სავსე ნუცა ასე ჩამოდნა, ჩამოჭკნა და დღეს დედა-შვილნი ასე მწუხარებაში არიან?

პეტრემ ჯვარი დაიწერა თუ არა, ნუცასთან გადმობარგდა. ახლად ჯვარდაწერილები განუსაზღვრელის სიტკბო-სიამოვნებით შეუდგნენ ახალს ცხოვრებას, ჯვარის წერის მესამე დღეს საღამოთი პეტრე გარეთ გამოვიდა და შუაღამის სამ საათზედლა დაბრუნდა სახლში. ამ დღიდგან დაიწყო პეტრემ და ყოველს ღამეს თავისს საყვარელ მეგობრებთან ბანქოს თამაშში ატარებდა. პეტრემ ორ დღეშივე მოახერხა და ნუცას „ბანკის" წიგნი ხელთ იგდო. ზურგ-მაგარი პეტრე ბანქოს რაღად შეუშინდებოდა!.. პეტრე ბანქოს თამაშში ატარებდა დროს, ნუცა-კი იმის ლოდინში ღამეებს უძილოდ მოუსვენრად ატარებდა. ნუცას ათასგვარი ფიქრი უწყალებდა და უღრღნიდა გულს. ნუცას ნაღველის გამჟღავნება მშობლებისთვის ვერ გაებედნა; უთქმელად და სხვასთან განუზიარებლად შეგუებული დარდ-ნაღველი მოერია ნუცას და მალეც დაჰრია ხელი... დღითიდღე ნუცას სახე-ჯანს სისუსტე სიუძლურე ეპარებოდა და აგერ სამს თვეში ხომ ჯეროვანი ძალიც დაასო. ერთხელ ჰკითხა დედამ ნუცას,

მიწევნით შესწავლილი ჰქონდათ, ყველა ავან-ჩავანი, მთა და ამიტომ ამათ არ შეეძლოთ, არ მოეტანათ დიდი სარგებლობა ერეკლესათვის თავისს მიზნის მიღწევაში. მაგრამ არა ნაკლები ღვაწლი მიუძღვის თუშებს მეორე მხრითაც. მათ ხელში იყო ერთი იმ უღელთაგანი, რომელიც საქართველოში შემოსევის გზად იყო არა ერთ და ორ მტრისათვის. თუშებს ეს უღელ ტეხილი ჰქონდათ გამაგრებული. უკანასკნელს თავისს სიცოცხლეს სწირავდნენ მას დასაცველად და არამც თუ იცავდნენ ამ გზას, არამედ თვით პარტიზანულ ლაშქრობით აოხრებდნენ დაღისტნის მიდამოებს და ამ გვარ ბრძოლით ასუსტებდნენ მას.

ამგვარი თავგამწირველი ხალხი, რასაკვირველია, უსათუოდ შეუყვარდებოდა იმისთანა გმირს მეფეს, როგორიც იყო მეფე ერეკლე. სამაგიეროდ არც თუშებს დაჰვიწყებიათ მისი პატივისცემა. თითქო ერეკლეს გარშემო შეკრებილა მთელი თუშეთის გმირები. მის გარშემო ხალხს შეუკრებია ყველა ნათელი თქმულებანი თვის არსებობიდგან, რომელნიც ახლაც აღფრთოვანებენ თუშის გულს და კიდეც იქნებიან მისს გულში გამაღვიძებელ ნაკვერჩხლად, სანამდის არ გაქრება მათში ეროვნული თვით-შეგნება.

ეხლა მოვიყვან აქ ზოგიერთს თქმულებას, რომელთა გაგონება და ჩაწერა ჯერ-ჯერობით შევიძელ. ვეცდები შემდეგშიაც არ დავტოვო დანარჩენებიც და ვაცნობო მკითხველს.

ქვემორე მოყვანილი თუშების თქმულებანი გვიხატავს, გარდა მეფე ერეკლეს თუშებისადმი პატივისცემისა თუშების ხასიათს მეთვრამეტე საუკუნეში, ამისათვის ისინი შეადგენენ ისტორიისათვის სასარგებლო მასალას.

ივ. ბუქურაული.

## მცირე შენიშვნა.

—

ეს ერთი კვირაა, რაც ქუთაისის გუბერნიის სასწავლებლებს ესტუმრა ბ-ნი კ. პ. იანოვსკი; მან ჩვეულებრივ დიდის გულმოდგინებით და ყურადღებით დაათვალიერა ქუთაისის ყველა სასწავლებელი და მრავალი სხვაც ქუთაისს გარეშე. მისის მოსვლით უნდა გაეფანტოს ყოველს სახალხო სკოლის მასწავლებელს ქუთაისის გუბერნიისას ის დრტვინვა და უხერხული მდგომარეობა, რომელსაც იგი აქამდის ჰგრძნობდა ბუნებითის მეთოდით სწავლების დროს. მოგეხსენებათ, რომ ბატონმა ადგილობრივმა სახალხო სკოლის დირექტორმა შეადგინა ამას წინად ახალი სახელმძღვანელო წიგნი რუსულის ენის შესასწავლად და ვალდებულად გახადა ყველა მასწავლებელი, რომელიც მას ექვემდებარება, ხსენებულის სახელმძღვანელოთი ესწავლებინა რუსული ენა. ისიც მოგეხსენებათ, რომ ამ ბუნებითის მეთოდით რუსული ენის შესწავლა უნდა სწარმოებდეს სამშობლო ენის დაუხმარებლივ: არც სიტყვების გადათარგმნა რუსულიდგან ქართულად, არც წინადადებათა, არც მთელის წერილისა ამ სახელმძღვანელოს საშუალებით შემადგენელისაგან ნება დართული არაა.

ამას წინად „ივერიაში“ გარჩეული იყო ამ ბუნებითის მეთოდით მიცემული გაკვეთილები და შესაფერად დაფასებული. სჩანს თვით ბ ნმა მზრუნველმაც ცხადად დაინახა უვარგისობა და სისუსტე ამ მეთოდისა, რადგან თხოულობს ყველა მასწავლებლისაგან, რომ რუსული სიტყვები, წინადადებანი და მთელი წერილიც სახელმძღვანელოდ მოსწავლემ ისე შეითვისოს, რომ არავითარი გაუგებრობა და სიბნელე არ ეტყობოდეს ამ შეთვისებას ამ აზრის მისაღწევად იგი სთვლის ერთ უდიდეს და უადვილეს საშუალებად სამშობლო ენას. გამოცდის დროს პატივცემული მზრუნველი თხოულობდა, რომ მოსწავლეს გადაეთარგმნა ყოველი რუსული სიტყვა და წინადადება თავისს სამშობლო ენაზედ.

ამას გარდა პატივცემულმა მზრუნველმა მოახდინა განკარგულება ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებლის რევიზიის დროს და დაავალა ამ სკოლის გალობის მასწავლებელს, ტომით რუსს, რომ მოწაფეებს უეჭველად შეასწავლოს რუსულ გალობასთან ქართული საეკლესიო გალობაც და აგალობოს იგინი ეკლესიაში რუსულადაც და ქართულადაც. ეს განკარგულება ბ. მზრუნველისა ელვასავით გავრცელდა საზოგადოებაში, რომელიც, რასაკვირველია, კმაყოფილი დარჩა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს განკარგულება სავალდებულოდ შეიქნება ყველა სასწავლებლისათვის.

ქუთათური.

## მეცნიერება.

9000 მეტრის სიმაღლეზედ. ამ მოკლე ხანში ჰაერით მოგზაურმა ბერსონმა ფრიად საყურადღებო ამბავი გამოაქვეყნა თვისს მოგზაურობიდგან ჰაეროსტატ ფენიქსზედ. ბერსონი 9000 მეტრის სიმაღლეზედ ავიდა ჰაერში ($8^1/_2$ ვერსის სიმაღლეზედ), რაც პირველი შემთხვევაა და სადამდისაც არც ერთს ჰაერით მოგზაურს არ მიუღწევია.

ეს მოგზაურობა დაიწყო 16 დეკემბერს, დილის 10 საათსა და 28 წამზედ; პირველ ხნობაზედ ჰაერი ძალიან ცხელი იყო და 1500 მეტრის სიმაღლეზედ ტერმომეტრი აჩვენებდა 5° c-სას; მერე სითბომ ძირს დაიწია და 5000 მეტრის სიმაღლეზედ 17, 7°c-ს უჩვენებდა ტერმომეტრი. ბერსონი ამ დროს მცირე დაღალულობასა და გულის ცემასა ჰგრძნობდა. შუადღისას ფენიქსი 7500 მეტრის სიმაღლეზედ იყო; ტემპერატურამ 18°c-დის დაიწია. რადგანაც ჰაერი მეტად შეთხელებული იყო და სუნთქვა უძნელდებოდა, ბერსონი იძულებული იყო მჟავბადის აპარატისათვის მიემართა. ბერსონი ერთი მეორეზედ ჰყრიდა ჰაეროსტატიდგან ტომრებს და მალე ფენიქსმა 8700 მეტრის სიმაღლეზედ აიწია. ტემპერატურა 38,8°-დის დაეცა. ბერსონი თავს ძალიან კარგადა გრძნობდა, მხოლოდ 8400 მეტრის სიმაღლეზედ გრძნობა დაჰკარგა, მაგრამ მალე მობრუნდა და კვლავ განაგრძო მგზავრობა. 8900 მეტრის სიმაღლეზედ ჰაეროსტატი თოვლს შეჰხვდა. დასასრულ, შუადღის დროს, ბარომეტრმა 9100 მეტრი უჩვენა, ხოლო ტერმომეტრმა 47,8° სიცივე. აქ-კი ჰაეროსტატი გაჩერდა, რადგანაც ცისქვეშეთის უმაღლესს წერტილს მიაღწია; ზევით და ქვევით მხოლოდ თვალ-გადუწვდენელი ცის სივრცე მოსჩანდა.

ბოლოს ჰაეროსტატი მშვიდობიანად დაეშვა ძირს. მოგზაურობა გაგრძელდა სულ 5 საათი და 20 წამი.

საყურადღებოა ბერსონის გამოკვლევა იმის შესახებ, თუ როგორის სისწრაფით იწევდა ტემპერატურა ძირს 1500 მეტრის სიმაღლეს რა-კი ასცილდა ჰაეროსტატი. ეს ბერსონის გამოკვლევა დიდად ეთანხმება ერმიტის გამოკვლევას, რომელიც შორეულ ცის ტემპერატურას პატარა ჰაეროსტატებით იკვლევდა; ერმიტის ჰაეროსტატები ისე იყო მოწყობილი, რომ თვისით სწერდა ყველაფერს გამოკვლევა და არც-თუ ასდევდა ვინმე თან ჰაეროსტატს. უნდა ვიფიქროთ, რომ ზევით და ზევით ჰაერი უთუოდ უფრო შეთხელებული იქმნება და ტემპერატურაც ნაკლები, ზედ მიწევნით ას გრადუსამდე სიცივე, ასე რომ სხვა-და-სხვა ელემენტნი იყინებიან, მაგრდებიან და მერე ძირს ცვივიან, სადაც კვალად ორთქლად იქცევიან, მაღლა მიდიან და ასე ცვლილობენ სახეს დაუსრულებლად.

## რუსეთის ცხოვრება.

—

იმპერატორის სასახლის მინისტრის გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის თავმჯდომარეობით შესდგა კომისია, რომელსაც ექვემდებარება ყველა ის საქმეები, რომელნიც ხელმწიფის გვირგვინის კურთხევას შეეხება. კომისია ამ ზაფხულს კვლავ განაგრძობს მუშაობას. ადგილი, საცა ხელმწიფეს გვირგვინი უნდა ეკურთხოს, უკვე დანიშნულია. შესახებ დღესასწაულისა და ხალხის გასართობების გასამართავად, გვირგვინის კურთხევის დროს, მრავალი ცნობებია შეკრებილი.

—

უკანასკნელს დროს, როგორც ამბობს „სპბ. ვედ.“ საფინანსო და შინაგან საქმეთა სამინისტრომ მრავალი თხოვნები მიიღო ხელით მოსაქმეთაგან, რათა მათ მიეცეთ ნება შეადგინონ თავისი თანხა და ამხანაგობა. ამ თხოვნებს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ხელოსნებმა. „ხელით მოსაქმეებს არ უნდა მიეცეთ ნება შეადგინონ საკუთარი თანხა, რადგანაც იმ კანონით, რომელიც ხელოსანთა შესახებ არის დადგენილი, მხოლოდ ერთი საამქრო თანხა უნდა იყოს დადგენილიო“, მაგრამ სამინისტრომ მათი წინააღმდეგობა უკანონოთა სცნო და ხელით მოსაქმეთა თხოვნა შეწყნარებულ იქმნა.

—

ყაზანის უნივერსიტეტის პროფესორებს განუზრახავთ ქალთათვის უმაღლესის კურსების დაარსება. კურსები ორის განყოფილებისაგან შესდგებიან: ისტორიულ-ფილოლოგიურისა და მათემატიკურისაგან.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ჟურნალ „რუს. სტარინა“-ში იბეჭდება ა. მ. ტურგენევის მოგონებანი. უკანასკნელს ნომერში, სხვათა შორის, ნაამბობია ერთი შემაძრწუნებელი ფაქტი. ავკაცობით და ბოროტებით ცნობილს არაკჩეევს—არავინ იცის, რა დანაშაულობის გამო დაუტუსაღებია და გაუგზავნია ორენბურგის საპყრობილეში გენერალ-მაიორი კუტკინი. კუტკინი იყო ძალიან მაღალის ტანის კაცი (2 არშ. და 12 გოჯი); ამოდენა კაცი დაამწყვდიეს ოთახში, რომლის სიმაღლე ორი არშინი და $9^1/_2$ გოჯი იყო, ასე რომ ეს საცოდავი თორმეტის წლის განმავლობაში ვერც გაიმართებოდა, ვერც თავს ასწევდა ზევით. მისს საშინელს ტანჯვას ბოლო მოუღო გუბერნატორმა პესტელმა, რომელმაც შეიბრალა უბედური კაცი და მოაწამვლინა. ეს საცოდავი 1824 წელს იმპერატორნა ალექსანდრე I მაც ნახა ორენბურგში ყოფნის დროს. აი როგორ აღგვიწერს ამ ამბავს ტურგენევი:

„როდესაც იმპერატორი საპყრობილეს ათვალიერებდა, უცბად თვალი მოჰკრა ოთახს, რომლის კარზედ წარწერილი იყო: „უცნობი“. იმპერატორი გაოცდა და დაეკითხა გენერალ-გუბერნატორს:

— რას ნიშნავს ეს? ვინ არის ეს „უცნობი“? გენერალ-გუბერნატორი ესსენი დაიბნა და წაიბუტბუტა:

— არ ვიცი, ვინ არის. ნაბრძანებია, რომ არავინ გამოელაპარაკოს და არავინ ინახულოს. ცხრა წელიწადია უკვე, აქ არის დამწყვდეული.

იმპერატორი არ დაკმაყოფილდა ამგვარის პასუხით და მრისხანედ ჰკითხა გენერალ-გუბერნატორს:

— ის მაინც არ იცით, ვინ გამოგზავნა აქ ეს „უცნობი“?

გენერალ-გუბერნატორის კანცე-

---

— შვილო, ავად ხომ არა ხარ, რატომ არას ამბობ!

— არც თუ კარგად ვარ. როგორღაც ცოტა უგუნებოდ ვარ. დედამ ნუცას უგუნებოდ ყოფნა სულ სხვაგვარ ახსნა და დავითს საიდუმლოდ გარდასცა, რომ მალე ვეღირსებით შვილის შვილსაო.

ამ აზრით მშობლები სრულიად აღარ აქცევდნენ ნუცას მდგომარეობას ყურადღებას.

პეტრეს უწესო ლაპარაკმა ხომ უკანასკნელი სიცოცხლის ძარღვიც ჩასწყვიტა ნუცას. პეტრემ უგემურის ღიმილით უთხრა ნუცას, რომ შენი ორი-ათასი თუმანი გამომელია და მამაშენს უთხარი, ერთი ორმოცი თუმანი კიდევ მომცეს ხვალ, უეჭველად საჭიროა ჩემთვისაო. ნუცამ უარი უთხრა პეტრეს; მამას ვერას ვეტყვი და ვერ გავუმხელ ჩემის ფულის დახარჯვასო!

პეტრე ჯერ ალერსით, მერე მუქარით ცდილობდა დაეთანხმებინა ნუცა. მაგრამ რაკი ვერა მოახერხა-რა, მივარდა ცოლს, ხელი მოავლო და მკაცრად ჰკითხა:

— უკანასკნელად გკითხავ, გამოართმევ ფულს თუ არა?

— არა, არ შემიძლიან!—უპასუხა ნუცამ.

— არა და ჯანი და სული წაგივიდეს, შესძახა პეტრემ, ქუდს დასტაცა ხელი და გარეთ გამოვარდა.

მეორე დღეს ვიღაც კაცმა ნუცას პეტრეს წერილი მოუტანა.

მთელი დღე შეიკავა ნუცამ თავი და საღამოზედ ძლივს გაბედა დედისათვის ეთქვა ყველაფერი და წერილიც ეჩვენებინა.

დავითმა ჭორად შეიტყო თავისი ქალის უბედურება, ქორწილის შემდეგ ნუცას ყოველ დღე სახეზედ ატყობდა, რომ ბედნიერი არ იყო, მაგრამ რითაც კი შეიძლებოდა ცდილობდა საყვარელი შვილი გაემხნევებინა. სახლში მოსვლისთანავე დავითი ნუცას ოთახში შევიდა. მამის დანახვაზედ ნუცამ თავი ველარ შეიმაგრა და ქვითინს მოჰყვა. შვილს დედა აჰყვა, იმანაც ტირილი დაიწყო. გაოცებული დავითი იქვე კარებში შესდგა და მცირე სიჩუმის შემდეგ ძლივს და მოახერხა.

— ადამიანებო, რა მოხდა, რა გატირებთ?

დედა-შვილი ხმას არ იღებდა. დავითი მიუახლოვდა ნუცას და ლმობიერად ჰკითხა.

— შვილო, რადა სტირი, განა არ მეტყვი?

ნუცამ პასუხის მაგიერ მამას წერილზედ მიუთითა.

დავითმა წერილი აიღო და საჩქაროდ წაიკითხა:

„ნუცა!

ბრძანდებოდეთ შენ და შენი ძუნწი მამა! თუ საჭირო ფულს არ მომცემ, გგონია გვერდით მოგიჯდე! არ იცოდი, რომ მარტო შენი ორი ათასი თუმანი დიდხანს არ მეყოფოდა!.. არ გინდა და, ეგ შენ და ეგ შენი ძუნწი მამა... თავს ნუ შეიწუხებ, მე ძლიერ შორს მივდივარ და ტყუილად მოლოდინი ნუღარ გექნება, რომ შენი პეტრო ნახო“...

ზარ-დამცემი იყო დავითისთვის ეს წერილი... უსინიდისო გაიძვერა. სიძემ ის არ აკმარა, რომ საყვარელი ქალი სულ სამს თვეში მკვდარს დაამზგავსა, დასტანჯა, გული და სიცოცხლე მოუწამლა, ორი ათასი თუმანიც გამოსტყუა და დღეს ასე უსინდისოდ მიატოვა ცოლი და გაიქცა. დავითმა მწარედ ამოიოხრა, მოაგონდა თავისი ცრემლი და გულის კვნესა, როცა მართას და ნუცას პეტრეს სიძობაზედ დასთანხმდა; წერილი ბუხარში შეაგდო და ყვედრებით უთხრა მართას.

მე წინადვე ვგრძნობდი, რომ ეს უბედურება არ აგვცდებოდა... რაღა ოხრად მინდა სიცოცხლე! რიღას მაქნისი ვარ, თუ ერთად ერთი შვილიცკი ასე უბედური მეყოლება...

— მამავ, მამილო, მაპატიე მე, მე ვარ დამნაშავე, დედა არაფერ შუაშია! სლოკინით წამოიძახა ნუცამ. წამოდგა ზეზე და მამის წინ მუხლებზედ დაეცა...

— რას სჩადი შვილო! დავითმა ნუცა ააყენა და ტახტზე დასვა. ნუ სტირი, ყოჩაღად იყავ; შენ ოღონდ გული გაიმხიარულე, ნუ იდარდებ, დაივიწყე ის წუწკი გაიძვერა; ნუ გეშინიან შვილო ღმერთმა გააძლიეროს ჩვენი ქვეყანა, ბევრ იმისთანა მოთრეულს წუწკს შეულახავს ჩვენი პატიოსნება, უფრო დიდი სიკეთე წაურთმევია, მაგრამ ჩვენი ხალხი არ შეშინებულა და არც გული გასტეხია. სიცოცხლე იყოს, თორემ მაგით ჩვენ არა დაგვაკლდება-რა... ხომ გაგიგონია ჩვენის ხალხის გონივრული სიტყვა:

„ნუ მისდევ უცხო პეპელსა,
გაგიფრინდება წაგივა;
ვერც არას ხორცი გიხორცებს,
ვერც ტყავი ფულად გაგივა.“

ეს თქმულება რომ არ დაგვიწყებოდა, ასეთი უბედურებაც არ შეგვემთხვეოდა.

ი. კახელი.

ლარიის მმართველმა, შეამჩნია-რა, რომ იმპერატორი განრისხებულია და გუბერნატორიც შიშით ხმას ვეღარ იღებს, წამოდგა წინ და მოახსენა:

— ამა-და-ამ წელს, თვესა და დღეს მოიყვანეს აქ ეგ ტუსაღი და მასთანა ვე ჩაგვაბარეს მინისტრის არაკჩეევის მოწერილობა, რომელშიაც ეწერა მხოლოდ შემდეგი: „დაამწყვდიეთ ტუსაღი ცალკე ოთახში მარტოდ, არავინ მასთან არ მიუშვათ და არავინ გამოელაპარაკოთ!

იმპერატორმა ბრძანა:

— გააღეთ კარი.

ერთს წამს გაიხსნა ბნელი სამარე და დამსწრენი გააბრუა საშინელმა სუნმა. ხელმწიფე ვერ შევიდა ოთახში და ბრძანა—ტუსაღი გარედ გამოეყვანათ. გამოიყვანეს ცოცხალ-მკვდარი ადამიანი.

— იცი, ვინა ვარ მე? ჩაეკითხა იმპერატორი საცოდავს.

ტუსაღმა იცნო ხელმწიფე, მაგრამ ისე გაოცებული იყო სანახავით, რომ სიზმარში ეგონა თავისი თავი და გაჩუმებული იდგა. იმპერატორი მეორედ დაეკითხა. ტუსაღი შეკრთა, მიხვდა, რომ სიზმარში არ არის, საზარელის ქვითინით პირქვე დაემხო და მოახსენა:

— შენ ხარ ყოვლად მიაწყალე ხელმწიფე—იმპერატორი ალექსანდე პირველი!

ხელმწიფემ თითონ ააყენა საცოდავი. საშინლად აღელდა და ცრემლებიც მოერია; მხოლოდ ათის წამის შემდეგ დამშვიდდა და ჰკითხა—ვინა ხარო.

— ახლა ვინა ვარ, არ ვიციო, მოახსენა ტუსაღმა, უწინ-კი გენერალ-მაიორი კუტკინი ვიყავი, ამა და ამ პოლკის უფროსი.

იმპერატორი ჩააჩერდა და იცნო.

— მახსოვხარ! სწორედ შენა ხარ. მახსოვს, ყოველთვის კარგად მსახურობდი. რისთვისა ხარ დატუსაღებული?

— არ ვიცი, ხელმწიფევ! მოახსენა ტუსაღმა.

— როგორ თუ არ იცი, ბრძანა იმპერატორმა! მომიყევი—როგორ იყო საქმე?

— ამა და ამ წელსა და თვეს მე დამიბარა მინისტრმა არაკჩეევმა. როგორც მიველი, მინისტრმა არა მითხრარა, დამატუსაღა, ჩამაბარა ფელდეგერს, რომელმაც აქ მომიყვანა.

იმპერატორი საშინლად ღელდა, მიუბრუნდა გენერალ-გუბერნატორს ესსენს და უბრძანა: „გამოუცვალეთ ოთახი, მიეცით დიდი, სინათლიანი და წმინდა ოთახი, ჩააცვით კარგად, მიეცით ნება სეირნობისა და სასადილო ფულიც აძლიეთ იმდენი, რამდენიც ერგება გენერალს“ შემდეგ იმპერატორი მიუბრუნდა ტუსაღს და უთხრა: „პეტერბურგში მივალ და გავიგებ ნამდვილს ამბავს. გარწმუნებ, რომ მე არ ვიცოდი, თუ შენ ასეთს მდგომარეობაში იყავი.“

ტუსაღი, როგორც ზევითა ვსთქვით, არ გაანთავისუფლეს და კიდეც მოწამლეს. აქედგან სჩანს, რა დიდი ძალა და გავლენა ჰქონია არაკჩეევს, თუ იმპერატორს დაავიწყა საშინელი აღელვება და შემაძრწუნებელი ფაქტი!

—

სომეხთა საქმე თან-და-თან მწვავდება. გაზ. „სვეტ“-ი აი რას შეჰნიშნავს:

ის საგანი, რომელიც ასე ძალიან გააზვიადა ინგლისის დიპლომატიამა და ჟურნალ-გაზეთობამ, ჩვენის მხრივ დიდს წინ-დახედულობას მოითხოვს. რუსეთი ერთად-ერთი მფარველია აღმოსავლეთ ოსმალეთის ქრისტიანეთა; ეს არის ჩვენი ისტორიული მოვალეობა, წარსულ საუკუნოებით გარდმოცემული, და სამუდამოდაც დავრჩებით აღმასრულებლად ხსენებულის მოვალეობისა, თუმცა მრავალი უსიამოვნება და გაჭირვება გვხვდება ამ ეკლიანს გზაზედ.

მაგრამ ასეთს დიდს სახელმწიფოს, როგორიც არის რუსეთი, არ შეუძლიან თვისი პოლიტიკა წვრილ სახელმწიფოთა ინტერესებს დაუმორჩილოს, იმათ, რომელნიც ამ ჟამად შველასა და დახმარებას გვთხოვენ, როდესაც ამ უკანასკნელთა სურვილია წინ-სვლა შეაჩქარონ, ესწრაფიან ისტორიულ პროცესსის განვითარებას და ჰსურთ თავისს პირად ინტერესების იარაღად გვიხმარონ, იმ ინტერესებისა, რომელსაც მფარველობას უწევენ ჩვენის აღმოსავლეთის პოლიტიკის მომტრე სახელმწიფონი. ძლიერი და შორს მომცურავე გემები არასოდეს არ შესცვლიან თავისს გეგმას მათ მახლობლად მოქანავე პატარა ნავ-ხომალდებისათვის თვისდა საზარალოდ და სახიფათოდ, როდესაც ზღვაზედ საბრძოლად გადიან: ასეთი გემები მხოლოდ დასაღუპად გამზადებულთ ჰშველიან.

ამ უკანასკნელ დროს სომეხთა მოძრაობამ დიდი იმედი დაჰბადა ინგლისის მხრივ და ინგლისიც დარიგებას არ აკლებდა, გზას უჩვენებდა. ეს მოძრაობა, როგორც საზღვარ-გარეთ დაბეჭდილ ბროშურებიდგანა და უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებიდგანა სჩანს, რუსეთის წინააღმდეგია; ხსენებულს მოძრაობას განზრახვად ჰქონია რაღაც მოჩვენებითისა და აუსრულებელ ოცნებობით შეჰქმნას დიდი, დამოუკიდებელი სომხეთი, ე. ი. ჰქონია ისეთი ოცნება, რომელიც მხოლოდ ინგლისისათვის არის საჭირო, რომ ამით რაიმე ნაირად ააბნიოს და დახლართოს რუსეთის აღმოსავლეთის პოლიტიკა.

გაზ. „სვეტ.“-ის აზრით

აქეზებდა რა ასეთ საქციელისათვის სომხებს ოსმალეთის საზღვრებში, ამითი ბრიტანიის დიპლომატიას ჰსურდა კრიზისი გამოეწვია მეზობელ ერთა შორის, რომ ამითი ჩვენი ყურადღება სრულიად აეცილებინა ამ საგნისათვის, ე. ი. ყვითელკანიან ერთა ომისათვის, რომელიც ისე ძირეულად შეეხებოდა ჩვენს ინტერესებს წყნარს ოკეანეზედ.

ამ განკერძოებულ მდგომარეობის, რომელიც თვით ბრიტანიას ჰხვდა წილად, მიზეზი იყო, რომ როზბერიმ ასე გააზვიადა სომეხთა საქმე იმ განზრახვით, რომ ჩვენ ჩავეთრიეთ ამ საქმეში.

დასასრულ „სვეტ“-ი სამართლიანად სცნობს, რომ—

ოსმალეთს ადვილად შეუძლიან მშვიდობიანად დაამთავროს სომეხთა საქმე, თუ რომ რუსეთისა და საფრანგეთის რჩევას შეიწყნარებს, თუმცა ინგლისელთა მიერ ატეხილი ინტრიგა ცოტათი აძნელებს საქმის დაბოლოვებას.

კეთილგონიერება მოითხოვსო—ამბობს გაზ. „სვეტ“-ი, რომ სომხებმა მოსპონ თავისი აგიტაცია და მშვიდობიანად უცადონ იმ რეფორმათა განხორციელებას, რომელნიც რუსეთმა და საფრანგეთმა წარუდგინეს ოსმალეთსაო.

## თეატრის მატიანე

თელავი 4 თიბათვეს.

4 თიბათვეს ჩვენს თეატრში წარმოადგინეს კომედიები „შევიშლები“ და „ბაიყუში.“ ორივე კომედია შინაარსით, როგორც მოგეხსენებათ, ძალიან სუსტნი არიან, მაგრამ თვით წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა. კარგად თამაშობდნენ ქნნი სტანიშევსკისა და დიდებულიძისა და ბ. აწყურელი. ბ. გამყრელიძემ დაგვიმტკიცა თავისის თამაშით, რომ დრამატიულ როლის გარდა, იმას შესძლებია კომიკურისაც კარგად თამაში. თელავში ხშირად იმართება ქართული წარმოდგენები, მაგრამ ხალხი ნაკლებათ ესწრება. ლოტომ და ქეიფმა მეტად გადააჩვია ჩვენი საზოგადოება აზროვანსა და სა[illegible]გებლო თავის შექცევას. თუმცა, როგორც ზევითა ვსთქვით, აზოგადოება ნაკლებად ესწრება წარმოდგენებს, მაგრამ ჩვენი მსახიობნი მაინც თავისს ცდასა და ენერგიას არ აკლებენ და იმედი აქვთ მერმისისა. ღმერთმაც ქნას!..

XX.

## წერილები რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

ნება მომეცით თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო სკოლის სახელით განსვენებულის ბარბარე მიქელაძის ქვრივის მემკვიდრეებს და ი. ელიოზიშვილს, რომელთაც თანახმად მისის ანდერძისა გადმომცეს ათი თუმანი (100 მან.) მთაწმიდის მამა დავითის სამრევლო სკოლის სასარგებლოდ.

გამგე სკოლისა: მღვდელი ნ. მაჭარაშვილი.

კვირას, 11 თიბათვეს, გორის მაზრის სამმართველოში თანახმად მთავრობის განკარგულებისა ინჟენერ ჰიდრავლიკის თავმჯდომარეობით უნდა მოხდეს კრება იმ პირთა, რომელნიც მონაწილენი არიან ტირიფონაზედ გამოსაყვანის წყლისა დიდლიახვიდგან; ეს კრება ამოარჩევს კომისიას, რომელსაც მიენდობა საქმის წარმოება ხსენებულის წყლის გამოყვანის შესახებ. უმორჩილესად ვთხოვ აგრეთვე მეზობელ მებატონეებსა და კიდევ, ვისაც შეეხება, დაესწრნენ ამ კრებას და შემწეობა აღმოუჩინონ ამ კეთილს დაწყობილებას.

მირაბი პატარა ლიახვის ნაწილისა დ. მიჩიტოვი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგნა).

5 ივნისი.

**ოდესა.** დღეს წავიდა აქედგან შორეულს აღმოსავლეთისაკენ გემი „კანტონი“.

**პარიზი**, 5 ივნისი. თუმცა ზოგიერთი გაზეთები გულმოდგინედ იწვევდნენ ბულანჟისტებს, „პატრიოტთა საზოგადოებას“, ელზასელებს და ყველას, ვინც 1870 წელს გერმანიასთან ომში იღებდა მონაწილეობას —მანიფესტაცია მოვახდინოთ კილის დღესასწაულის წინააღმდეგო, მაგრამ მანიფესტაციამ ძლიერ წყნარად ჩაიარა. 60 კაცი მივიდა ქალაქ სტრასბურგის ძეგლთან და დაჰკიდეს გვირგვინი. ტიულერის ბაღში და მოედანზედ რამდენიმე ათასი კაცი მოგროვდი. მანიფესტანტები გაიძახოდნენ: „საფრანგეთს გაუმარჯოს! გაუმარჯოს ელზასსა და ლოტარინგიას!“ ხალხი მანიფესტანტებს გულგრილად უცქეროდა.

**ალექსანდრია**, 5 ივნისი. დღეს, $12^1/_2$ საათზედ, რუსეთისა და საფრანგეთის გემები კილის ნავთსადგურში მივიდნენ.

**ალექსანდრია**, 5 ივნისი. აქ მოვიდა რუსეთის ექსპედიცია ლეონტიევის წინამძღოლობით. ექსპედიციასთან ერთად მოვიდა აბესინიის საელჩო, რომელიც პეტერბურგს გაემგზავრა.

პეტერბურგის ბირჟა, 6 ივნისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,40 | — „ | — „ |
| 5%. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . . | 205 | — „ | — „ |
| $4^1/_2$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . . | 101 | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . . | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. . | $99^1/_2$ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | 101 „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა . | $99^1/_2$ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | $99^5/_8$ | — „ | — „ |


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. სტროკინ შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. ჰ. კარაპეტიანცი, $1—1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, $7—7^1/_2$ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცე[illegible] აწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინის ნავასარდიანი.

(857—1468)

ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ნიკოლოზის ქუჩაზედ, საგინოვის ქვრივის სახლში, № 21, „ივერიის“ რედაქციის გვერდით იძლევა ქირით პავილი თავის გამართულობით ანუ გაუმართავად. ფასი ეკითხოს „ივერიის“ რედაქციაში მაქსიმე შარაძეს.

(10—1)

დამზღვევი საზოგადოება

„იაკორი“

(ღუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს

გარდა სათადარიგო ფულისა.

## დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

## დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლოა პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეეყენებულ ვინება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და აქანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითი განცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში. ვოასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში. (100—721—ა)


Дозволено цензурою, Тифлисъ 7-го Іюня 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე